ხობის მოამბე

№13 (7173)
21 ოქტომბერი,
შაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

„თვითშეფასებისა უკეთესი ფასია სადმის ყოველგვარის საქმიანობისა. საცა უნდა დაანგოთ, იგი ყველგან ხელითხს... ყოველი სახელმწიფო, თვისას ფესვად ცოდეთ თუ ფესვად დაამდგარი, ნაწილი-ნაწილად ანის დაიყოფოდეთ, თორმ ძალად და ანგრევისა აღგილი იყოს.“

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

რაჰიპ მამედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

20 ოქტომბერს, ხობის კულტურის სასახლის მცირე დარბაზში, 1987 წელს ხობის სოფელ ჭალადიდში, სტიქიის ზონაში სამაშველო ღონისძიებების გატარების დროს დაღუპული რაჰიპ მამედოვის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის - „19 წლის მხსნელი“ პრემიერა შედგა; ხოლო, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში რაჰიპ მამედოვის ბიუსტის გახსნის ცერემონია გაიმართა.

რაჰიპ მამედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფაიგ გულიევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის, „შავი ზღვის ტერმინალის“ წარმომადგენლები და რაჰიპ მამედოვის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

ცოიგილი. ოთმელსაც საქართველო ეს იყიწყებს!



„მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც!“

მერაბ კოსტავა,
საქართველოს ეროვნული გმირი.

„კუთვნილ სიკვდილს თუ ავად ვუმზერდე,
მაშინ ნამუსის ძუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო.“
მერაბ კოსტავა

34 წელი გავიდა იმ საშინელი დღის შემდეგ...

1989 წლის 13 ოქტომბერი იყო, სახლში ტელეფონის ხმა გაისმა, ვერაფრით ვიხსენებ ვინ დამირეკა. შემატყობინა მერაბ კოსტავას ავტოავარიის შესახებ, თუმცა ვერ დამიკონკრეტა მერაბის მდგომარეობა. სასწრაფოდ ჩავიცვი, მამაჩემს მანქანის გასაღები გამოვართვი და გავქანდი რუსთაველის მეტროსთან, მერაბის სახლთან. ხალხის რაოდენობა ნელ-ნელა მატულობდა. აქვე შევხვდი ჩემს მეგობარს გიორგი ნასიძეს (მონარქისტული პარტიიდან) და კარგ ქართველს პოეტ ერეკლე საღლიანს. დაზუსტებით არავინ იცოდა მერაბი ცოცხალი იყო თუ არა. მაშინ, მოგეხსენებათ მობილური ტელეფონი და ინტერნეტი არ იყო. ერეკლე საღლიანმა თქვა, წავიდეთ ზვიადთან კოლხურ კოშკში და იქ დავაზუსტებთო. ჩავსხედით ჩემს მანქანაში და წავედით გალის ქუჩაზე. მე და გია მანქანაში დავრჩით. ერეკლე შევიდა კოლხურ კოშკში... 15-20 წუთის ლოდინის შემდეგ გამოვიდა. ერთი სული მქონდა, რომ ეთქვა ცოცხალიაო, მაგრამ თავზარდამცემი ამბავი გამოგვიტანა. „ზვიადი ვნახე, ტირის კაცი. ზესტაფონის რაიონის სოფელ ბორითთან მომხდარა ავტოკატასტროფა, მოასვენებენ უკვე, მალე თბილისში შემოვლენო“. ბევრი არ გვიფიქრია, წავედით შესაგებებლად. მცხეთამდე შემოგვხვდა სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც უსაშველოდ გადაჭიმული მანქანების კოლონა მოყვებოდა. ჩვენც ამ კოლონამ მიგვახვედრა, რომ მერაბს მოასვენებდნენ. შემოვბრუნდით და გავყევი კოლონას. სასწრაფოს მანქანა ე.წ. არამიანცის საავადმყოფოს მორგს მიადგა. იმ დღეს ორჯერ შევედი მორგში, იქ გამოვიტირე ჩვენი ეროვნული გმირი.

ლევან ხოფერია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გაზიფიცირების სამსახურის უფროსი კახა დვალი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია და ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია გაზიფიცირების სამუშაოებს გაეცნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის 11 დასახლებულ პუნქტში: პირველი გურიფულში, მეორე გურიფულში, გაღმა შუა ხორგაში, გამოღმა შუა ხორგაში, გამოღმა პირველ ხორგაში, გაღმა პირველი ხორგაში, ზემო ქვალონში, პატარა ფოთში, გვიმარონში, ჭითაუშქურში, საალანიო-საფაჩულიოში, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია, გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში ჯამურად აშენდება

104 442 გრძივი მეტრი გაზსადენი და 1 977 აბონენტი შეძლებს ისარგებლოს ბუნებრივი გაზით.

სამეგრელოში, ამჟამად, სამუშაოები მიმდინარეობს 6 მუნიციპალიტეტის 27 დასახლებულ პუნქტში. როგორც პროექტით არის განსაზღვრული, ჯამურად აშენდება 343

648 გრძივი მეტრი გაზსადენი და 4 687 აბონენტს მიეცემა შესაძლებლობა ჩაერთოს ბუნებრივი გაზის საერთო ქსელში.

მთავრობის მიერ დამტკიცებული, გაზიფიცირების 2022-2024 წლების გეგმის ფარგლებში, სამეგრელოში, 54 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები შესრულდება, რომელიც დამატებით 9000-მდე პოტენციურ აბონენტს უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით.

2013 წლიდან-დღემდე მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ, სამეგრელოში 127 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახორციელა და 50 858 აბონენტმა შეძლო ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვა. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში აშენდა 63 203 გრძივი მეტრის მქონე ორი მკვებავი გაზსადენი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის შუა ქვალონის და ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 2 201 681 ლარს შეადგენს.

სკოლების რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლევან ლიპარტიასთან და ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარიასთან ერთად გაეცნენ.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

მომავალი წლიდან ნოჯიხევის და შუა ქვალონის სკოლები მოსწავლეებს, სრულად ადაპტირებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ, კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში მიიღებს.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო აქტიურად ახორციელებს 1 მილიარდი ლარის ღირებულების მასშტაბურ პროექტს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს და 2027 წლისთვის, ჯამში 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს.



ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება.

მეორე გურიფულში (გურიფული) ნატანი მასისგან იწმინდება სანიაღვრე არხი, გამოღმა პირველ ხორგაში (პირველი ხორგა) სასაფლაოს შემოღობვა, ხოლო საქირიოში (ხამისკური) ხიდბოგირის მოწყობა მიმდინარეობს.

პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების განსახორციელებლად 922 000 ლარია გამოყოფილი.

განსახორციელებელი პროექტები მოქალაქეებმა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ დასახლების კრებებსა და კონსულტაციებზე შეარჩიეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ 135 000 ლარი შეადგინა.

სარეაბილიტაციო მონაკვეთზე წყალდიდობის დროს ირეცხებოდა სანაპირო ზოლი და იტბორებოდა საკარმიდამო ნაკვეთები.

პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხით განახორციელა.

6 ოქტომბერს, ხობის კულტურის სასახლის მცირე დარბაზში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ლიტერატურული პროექტის–„ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში მწერლებთან შეხვედრა გაიმართა.

ლიტერატურულ საღამოზე მწერლებმა: ბაჩო კვირტიამ, ნანა ქელეხიძემ, გივი ჩიღვინაძემ, ეკა ქაჯაიამ და რაულ ჩილაჩავამ მკითხველებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში იმართება ლიტერატურული საღამოები, თანამედროვე ავტორთა წიგნების პრეზენტაცია და დისკუსიები მკითხველთათვის საინტერესო თემებზე

17 ოქტომბერს, ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართა სპექტაკლის პრემიერა ,,გრძნობათა ნამსხვრევებზე“ (ფუცუ დგებუაძე-ფულარია ,,ოქროს ბეჭედი“-ს მიხედვით)

მონაწილეობდნენ: შორენა ჯამბურია ნინო ქავთარაძე

ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლხეთის“ მოცეკვავეები ბარბარე სოსელია, ლიზი ხურცილავა, ლუკა ჭითანავა,გიორგი ბუკია, გიორგი ცხადაია ლუკა პაპავა.

სცენარის ავტორი, რეჟისორი და მუსიკალური გაფორმება–მანანა შამათავა

მხატვარი–ირა სიხარულია

ტექნიკური რეჟისორი–თეონა ჩარგაზია

ქორეოგრაფი–გოდერძი გახარია

ოპერატორი–თინათინ ჯიქია

ვიდეო მონტაჟი–ბესო გაბრავა

ტექ. უზრუნველყოფა–ბიძინა ტყებუჩავა

„მე მიყვარს ხობი“

ხობის მუნიციპალიტეტი ბერძნული წყაროების „ოქრომრავალი კოლხეთის“ ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ეს ის ადგილია, სადაც კოლხური კულტურის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა. ქვალონის ნაოხვამუ იყო პირველი ძველკოლხური ნამოსახლარი, რომელიც არქეოლოგებმა შეისწავლეს და აქედან იწყება ძველი კოლხეთის საამაყო ისტორიის შესწავლა.

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ძველი ქალაქი ფაზისი პალიასტომის ტბას, მდინარე ფიჩორსა და სოფელ საქორქიოს შორის უნდა მდებარეობდეს, რაც სამეცნიერო თვალსაზრისით, მნიშვნელოვან რეგიონად ხდის ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

საინტერესოა, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა-ფაზისის აკაეკლესიას იმერეთში, წმ. გიორგის ეკლესიას ლენტეხის რაიონში... დასახლებულ პუნქტებს: სამეგრელოში, იმერეთში, აფხაზეთში, სვანეთში, ქართლში, ისტორიულ ლაზეთში, სოჭის მხარეს, დაღესტანში... ყურძნის ერთ-ერთ ჯიშს ხოფურა ჰქვია...

ლეგენდის მიხედვით, ძველად შავ ზღვამდე გადაბმით ხარობდა მაღლარი ვენახები, ადამიანს შეეძლო ვენახ-ვენახ ისე ჩასულიყო შავ ზღვამდე, რომ მიწაზე ფეხი არ დაებიჯებინა. ამ ლეგენდას ამართლებს ყულევის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მასალები, რომელთა შორის უამრავი ღვინის კულტურასთან დაკავშირებული ჭურჭელია ფიქსირებული.

ხობის წარსულს უკავშირდება ჩვენი წარსულის საამაყო პირთა სახელები: გუბაზ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შერგილ, ცოტნე და ვამეყ დადიანებისა...

გადმოცემით იქ, სადაც ხობის მონასტერი მდგარა, 554 წელს ბიზანტიელებს ღალატით მოუკლავთ გუბაზ მეფე, შემდეგ იქ მისი სულის მოსახსენებლად აუგიათ ეკლესია.

1887 წლის 8 ოქტომბრის გაზეთ ,,ივერიაში“ ნოჯიხევის სკოლის მასწავლებელი მ. პ. ლიფონავა წერს: ,,ხალხი ამბობს, რომ ვითომც ეს მონასტერი დავით აღმაშენებლის დროისა იყოს...“

წმ. ალექსი ბერმა შუშანიამ პირველი სასულიერო ხარისხი ხობის მონასტერში მოღვაწეობისას მიიღო.

წარმოშობით ზემო ქვალონელია ეროვნული გმირი ჟიული შარტავა.

ხობს აბრწყინებს კულტურისა და ხელოვნების უშესანიშნავესი ძეგლები: ხობის მონასტერი, ჯეგეთის, მაჩხომერისა და წმ. სოფიოს არქიტექტურული კომპლექსები, ხეთის, ხიბულის, ჯახუთის ჯიხა-ციხეები... ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის 275 ობიექტი. აქედან 16 ეკლესია, 31 ნაეკლესიარი, 21 ციხე-კოშკი, 207 არქეოლოგიური ობიექტი.

ხობის მონასტერი ნამდვილ სიწმინდეთსაცავს წარმოადგენდა, აქ მსვენარებდა უდიდესი ქრისტიანული რელიქვიები: ღვთისმშობლის კვართი, წმ. გიორგის ბარძაყი, წმ. მარინეს მკლავი, წმ. კვირიკეს ხელის მტევანი, მაცხოვრის წვერის ღერები, ღრუბელი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ძმარი მიაწოდეს; 52 ნაწილიანი ხატი, რომლის შუაში ძელიცხოვლის ჯვარია ჩასვენებული; დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო და თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრები; წმ. გიორგის ხატი შოთა რუსთაველის ოჯახიდან და მრავალი სხვა...

რაფიელ ერისთავი ხობის სიწმინდეების შესახებ წერდა: „...კვალადცა ამა მონასტერსა მსვენარებს კვართი და წმიდისა და უმეტესად კურთხეულისა ღმრთისმშობლისა, ერთსა ვერცხლით შეძერწილს ოქრო ცურვილის და თვალმარგალიტით შემკულსა კუბოსა შინა 1813 წლისასა განუხრწნელად დაცული. ამა კუბოსა შინა მსუენარებენ წმიდანი ნაწილნი, მარჯვენა მკლავი ხუთისავე თითებით წმიდისა დიდმოწამისა მარინესი განუხრწნელი 1603 წლისა... და წმიდისა მოწამისა ივლიტასი ხელი ხუთსავე თითებით სამი წლის ყრმისა. მონასტერსა ამას შინა მსუენარებს ძელი ცხოველი ოქროთ შეძერწილი და სხვანი წმიდათა ნაწილნი არა მცირედნი...“

ხობის მონასტერი დადიანთა ძველი საძვალეა. შუა საუკუნეებში იგი აფხაზეთის კათალიკოსების რეზიდენციად და საძვალედ ითვლებოდა.

აქ არის წმინდანი და ეროვნული გმირი ცოტნე დადიანი დაკრძალული.

ცოტნე დადიანის გმირობაზეც არ არის ადვილი საუბარი, ის იმდენად დიდია, რომ „ჟამთააღმწერელიც“ კი, მოკლედ და ლაკონიურად გადმოგვცემს ცოტნეს სიდიადეს: „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თუისისათვის, რომელ ყო პატიოსანმანცა ამან კაცმან ცოტნე, სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი“. აკაკი წერეთელმა ცოტნე დადიანს მიუძღვნა პოემა „ნათელა“.

1912 წლის 24 ივნისის გაზეთ ,,შინაურ საქმეებში“ ვკითხულობთ: „...ჩვენი უკვდავი მგოსანი აკაკი დიდებულ ხოპის მონასტერსაც შეხებია თავის ცნობილ მოთხრობა „ნათელაში“ და სწორედ ისე მომაჯადოებლად გვისურათხატებს მონასტრის მდებარეობის სიკეკლუცეს, როგორც მის ზეგარდამო მადლით ცხებულ კალამს შეჰფერის და მოეთხოვება. გულწრფელად ვურჩევთ ყველა მკითხველს „ნათელადან“ ამ აღწერილობას და დასტკბეს პოეტური უებრო სურათით. ჩვენის მხრით, აკაკის ქმნილების შემდეგ, ხოპის მდებარეობის დახასიათება, კადნიერება იქნებოდა, ამიტომ ამაზე კრინტსაც არ ვძრავთ“.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ძველთაგან საკათალიკოსო მიწად ითვლებოდა, აქ მცხოვრებნი ხობის მონასტერში დასვენებული თეთრონსანი ღვთისმშობლის ხატისა და ღვთისმშობლის კვართის მსახურები იყვნენ; ხობელებს და არა მარტო მათ, ეამაყებოდათ, რომ ისინი „კვართოსან ხოპარებად“ იწოდებოდნენ. ხობის ტაძრის კანკელის წინ, ჩრდილოეთით გამოსახულია ხობელი იერარქის ნიკოლოზ ხოფელი, წულუკიძის ფრესკა. იგი XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. XI საუკუნის ქართული ხელოვნების უბრწყინვალესი ძეგლისნიკორწმინდის დასავლეთ კედელზე გამოსახულია ზემოთ დასახელებული მოღვაწე წარწერით:

„ნიკოლოზ ხოპარი, წულუკიძე”. ხობისა და ნიკორწმინდის ტაძრებში გამოსახული ნიკოლოზი ერთი და იგივე პირია. „ხოპარი“ „ხობარის“ ძველებური ფორმაა, რაც ხობელს ნიშნავს.

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს ,,მაჩხომერის“ V-VI საუკუნეების უშესანიშნავესი არქიტექტურული კომპლექსი. აქ მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება მიიქცია, მიმდინარე წლის აგვისტოში, კრებულში–„ON THE SHOULDERS OF PROMETHEUS” მილანის უნივერსიტეტის პროფესორის, არქეოლოგ ემანუელ ინტაგლიტასა და ჯგუფის მიერ გამოქვეყნდა წერილი, რომლის სათაურია–New Late Antique Church Complex at the Foot of the Greater Caucasus – machkhomeri hill (khobi Municipality)”.

როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, „მაჩხომერი“ და ხობის მონასტერი რელიგიური მნიშვნელობით იმდენად დიდი იყო, რომ აქ ჩამოდიოდნენ–პატრიარქები, მაღალი და დაბალი რანგის სასულიერო პირები, მეცნიერები, მოგზაურები...

ცნობილი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი 1925 წელს აღნიშნავდა:

„...თამარ მეფის საკუთარი, გულზე საკიდი ჯვარი ხოფის მონასტრის ბერებმა ჩვენს დრომდი ერთგულად შეინახეს“.

დიახ, ხობელები გამოირჩევიან ღვთისა და ერისადმი ერთგულებით. აქაურებს ჩვენი ქვეყნის ყველა ჭირ-ვარამი გაუზიარებიათ. არიან ნიჭიერნი, მუყაითნი და სტუმართმოყვარენი, ისინი მარტო წარსულით ცხოვრობენ, სჯერათ ღვთის წყალობისა, მომავლისა, საქართველოს გაბრწყინებისა.

ხობითა და ხობელებით მრავალი უცხოელი აღფრთოვანებულა–დონ კრისტოფორო დე კასტელი; დონ არქანჯელო ლამბერტი; იერუსალიმის პატრიარქები პაისიოსი და დოსითეოსი; მაკარი ანტიოქიელი; პავლე ალეპოელი; დონ იოსებ მარი ძამპი; დიუბუა დე მონპერე; მარი ბროსე; ჟიულ მურიე...

ხობი ქალაქად 1981 წლის 31 ოქტომბერს გამოცხადდა. თუმცა არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, აქ პირველი ძველკოლხური დასახლებები ჯერ კიდევ ქრისტემდე VIII-VII დასტურდება, ხოლო ხობის მონასტერთან არსებული ადრექრისტიანული ნაეკლესიარები მიუთითებს, რომ აქ ქალაქური ტიპის დასახლება მუდამ არსებობდა და ცხოვრება გრძელდება დღესაც...

აქ ბუნება ედემის ბაღივით მრავალფეროვანია, ჩვენი ხალხი ნიჭიერი და შრომისმოყვარე, ჩვენი წარსული–საამაყო...

1853 წელს ხობის მონასტრის სამრეკლოზე ასულ, ხობის არემარეთი აღტაცებულ და მოხიბლულ მწერალს და ჟურნალისტს ნიკოლოზ დუნკელველინგს წარმოუთქვამს: „აქ ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს!“

დიახ, აქ ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს!

უფლისა და ხობის თეთრონსანი ღვთისმშობლის მადლი არ მოკლებოდეს ხობს, ხობელებსა და სრულიად საქართველოს!

ბოგიტა ჩიტაია,
ხობის საპატიო მოქალაქე.
17.10.2023 წ.

„აქ ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს“

აფხაზეთი– საფიცარი სახელი

ბლიც ინტერვიუ შორენა ძაძამიასთან

ქალბატონო შორენა, მართალია ხობში კარგად გიცნობენ, მაგრამ გთხოვთ გაზეთის მკითხველს გაეცნოთ, ვინ არის შორენა ძაძამია?

–ვარ სოხუმელი, და ამაში ბევრი რამ იგულისხმება. როგორც ყველა დევნილს, მაქვს ტკივილიანი წარსული, რაზეც საუბარი ნამდვილად არ მინდა...

რას გვეტყვით, როგორ გახსენდებათ აფხაზეთი, იქ გატარებული წლები. 30 წლის შემდეგაც რას ნიშნავს თქვენთვის აფხაზეთი?

–აფხაზეთის მოსახლეობამ პირველმა იწვნია რა არის ომი და მისი შედეგები. 90-იან წლებში არც სახელმწიფო და არც სოციუმი არ იყო მზად გამკლავებოდა ყველა იმ გამოწვევას, რაც აფხაზეთის დაკარგვით მივიღეთ. არც მსოფლიო თანამეგობრობა იყო საქართველოსადმი დიპლომატიურად ახლოს. ამიტომ როგორც დევნილ, ისე მკვიდრ მოსახლეობას, ძნელი წლები ჰქონდა.

ჩემთვის საქართველო უბრალოდ ქვეყანა არ არის, ის ჩემი სამშობლოა. შესაბამისად, აფხაზეთი და სოხუმი ჩემი სამშობლოს სამშობლოა, უზომოდ მიყვარს და მტკივა. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს.

შეაფასეთ თქვენს მიერ გავლილი გზა, როგორც ხობში ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის, რა პრობლემების წინაშე იდექით და როგორ გაართვით თავი ამ ტკივილიან წლებს?

–2004-2020 წლებში ვხელმძღვანელობდი დევნილთა და ვეტერანთა საკითხებზე მომუშავე განყოფილებას. 30 წლის განმავლობაში დევნილებმა მოახერხეს ინტეგრირება და ნაწილობრივ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება.

მერიის სოციალური პროგრამები სრულად ეხება დევნილ მოსახლეობასაც, შესაბამისად, დარჩა მხოლოდ აფხაზეთის მოსახლეობის განსახლების საჭიროება, რომელიც სამინისტროს პრეროგატივაა. ამიტომ განყოფილებამ ამოწურა თავისი ფუნქცია.

ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ბავშვთა უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილებას ხელმძღვანელობთ. გვიამბეთ რა არის თქვენი უშუალო ფუნქცია, რა პროექტები ხორციელდება, რა მიღწევები გაქვთ, რა სიახლეებს ნერგავთ?

–ამაჟამად, ბავშვთა უფლებების დარღვევისა და ოჯახში გახშირებული ძალადობის შემთხვევებმა განაპირობა მერიებში ბავშვის უფლებების დაცვაზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულის შექმნის აუცილებლობა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში სამი წელია ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელსაც ვხელმძღვანელობ. განყოფილება დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით: სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი, ინსპექტორი და ექიმი. ამ დროის მანძილზე ჩატარებულმა კვლევამ და ოჯახების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბავშვიანი ოჯახების გარკვეული ნაწილი სოციალური საფრთხის წინაშე დგას ძირითადად ავადმყოფობისა და საცხოვრებელი პირობების არქონის გამო, რითაც ირღვევა ბავშვის უფლებები.

ამ მიმართულებით. ხობის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად მუშაობს და ქმნის ახალ პროგრამებს, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზეა მორგებული. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი პრობლემა მოგვარებადია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით. მნიშვნელოვანია მოსახლეობის აქტივობის, თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის დონის ამაღლება და ჩართულობა სხვადასხვა პროგრამებში თვითდასაქმების მიზნით. სამწუხაროდ, ოჯახების ნაწილი სოციალურ შემწეობის იმედადაა და არ აქტიურობს ამ კუთხით.

ქალბატონო შორენა, ცხოვრებაში რა გაძლევთ მოტივაციას?

–ზოგადად მიმაჩნია, რომ ადამიანი არასდროს უნდა დანებდეს. მომწონს ფრაზა „როცა ყველაფრისგან იღლები, სწორედ მაშინ ყველაზე ახლოს ხარ გამარჯვებასთან“. რაც მაძლევს მოტივაციასაც და სურვილსაც ახალ გამოწვევებს ვუპასუხო.

მე უსაზღვროდ მჯერა მომავალი თაობის, მჯერა, რაც ჩვენ ვერ შევძელით, ისინი წარმატებით გაართმევენ თავს და ბევრად უკეთეს საქართველოში იცხოვრებენ!!

მადლობა ინტერვიუსთვის.

ნანი კილასონია.

„შეხვედრა სოხუმთან!..“

...ორივემ, ერთ პატარა, ფეხატკივებულ ბიჭს გავადევნეთ თვალი...მერე ერთმანეთს შევხედეთ და... ისე უცბად ამოვიცანით ჩვენი იდენტობა, დაკარგული ქვეყნის თვალცრემლიანები შევრჩით ერთმანეთს.

სოხუმური სლენგით მიმიზიდა... გლდანში მე-6 მიკროსკენ გზას აყოლილს, მზერაც სხვანაირი ჰქონდა: ლაღი, ზღვისპირული, შუბლგახსნილი შემომცქეროდა!..

შემთხვევითობა იყო?

არა, შემთხვევით არაფერი ხდება!..

მონატრებამ შეგვახვედრა სოხუმელები, რომ ათასმეერთედ გაგვეხსენებინა სოხუმის ცენტრალური ქუჩა და მეორე სკოლა, სადაც ისტორიას ასწავლიდა–თურმე ახალაიას ქალბატონი!..

ათასმეერთედ მოგვეარა ჩვენი ოაზისი- სოხუმის ბულვარი და ზღვის მლაშე სურნელით გაჟღენთილი სანაპირო!..

გვეცქირა ჰორიზონტისთვის, რომლის სადარი ველარსად ვპოვეთ!..

ისტორიკოსი რომ არ ვიყო, უფრო დავიჯერებდი, რომ დაბრუნების ჟამი ოდესღაც ჩამორეკსო- თქვა და აცრემლიანდა!..

შემნიშნა, რომ მის აზრს არ ვიზიარებდი...

ერთად დავბრუნდებით- მეთქი- ლამის შთავაგონე!..

იქ სხვანაირად ამოდიოდაო მზე!

სოხუმის მთიდან ამოგორდებოდა და ულამაზესი დაისი იხატებოდა ჰორიზონტზე...ზღვის ტალღებში იხრჩობდა თითქოს თავს...მასთან შესახვედრად მთელი სოხუმი გამოეფინებოდა...

ასეა ახლაც...ოღონდ ამ სილამაზეს მაყურებელი აღარ ჰყავს, ამ მიწის მკვიდრი, იქიდან განდევნილი ქართველი მაყურებელი!!!

...27 სექტემბერს, სოხუმს მოდებულმა ცეცხლის ალმა დიდხანს გვდია.

კვლავ ისროდნენ გუმისთიდან.

იბომბებოდა ქალაქი.

ჩვენ გავრბოდით!

დროთა განმავლობაში მეხსიერების შრეებში დალექილი მძიმე დღეების ანაბეჭდები სიზმრებად იქცა. როდის-როდის ჩაძინებულს, ჰაუბიცებითა და „გრადებით“ მკერდჩალეწილი შენობები, უკაცრიელი სახლები მეძახდა. წყალგაუმტარი ბრეზენტითჩემი ორად გახლეჩილი სახლის კედლებთან ვწრიალებდი...სარდაფში კიბეს ვეძებდი რომ სახურავზე ამეტანა ბრეზენტი და...ჩამორეცხვისაგან რამდენიმე ქვა გადამერჩინა.

კიბეს ვერ ვაგნებდი...

აღარც მეზობლები ჩანდნენ.

ქალაქი გარდაცვლილიყო!..

უპატრონო ცხედარს ცალა დარჩენოდა მოტირლად!!!

დრო კი გადიოდა!..

...ნათესავებს შეხიზნულს დღითიდღე მზარდი ვალი სულ უფრო მთრგუნავდა.არც ამ და არც იმ ათასწლეულში ამ ვალის გადახდას ჩემგან არავინ მოითხოვდა...მაგრამ... ამ საშინელ „მაგრამს“ წერტილი უნდა დასმოდა საკუთარი ჭერი უნდა გამეჩინა!

„ოქროს ბირჟაზე“ გატანილ სამკაულებში დილერმა მისი არითმეტიკული საფასური გადამიხადა. შემეშველა სახლეულიც და...დევნილობის დასაწყისში, თბილისის გარეუბანში, გლდანში ბინა შევიძინე!!!

25 წელია ჯიბით გასაღებების აცმას დავატარებ და სტუმარს საკუთარ ჭერქვეშ ვხვდები. ვალი აღარ მეზრდება და სხვის ლუკმას ნაქურდალივით აღარ შევექცევი...აღარც სხვისი კერიის ცეცხლი მიწვავს თვალებს... მაგრამ შვება ვერც ამ კედლებში ვპოვე!..

ის არც ჩემი ციხე-სიმაგრეა!!!“

„ჩემის სივრცითი რადიუსი კარის საკეტთან იწყება და იქ მთავრდება. კარს იქით ადამიანები სახლობენ... ვისთვისაც ღირსებააყრილი ლტოლვილი ვარ და... არა თავმოსაწონებელი აფხაზეთელი სოხუმელი.განვერიდები ხოლმე არადევნილ ნათესავებს, ახლობლებს...რომელთაც ჩემი, როგორც დევნილისა...ბევრი რამ არ ესმით!..

ქანცგაწყვეტილ სრბოლაში დუმილი და ...ნასწავლი დუმილით მძიმე ხვედრის ადვილად ტარება ვისწავლე... და განვერიდე ცოდვებით დამძიმებულ სამყაროს...გულგრილობას...დახშულ ყურთასმენას...გავეცალე დანარჩენ საზოგადოებას!!!

რა ღირს იმედი?..

როგორც არასდროს, ისე ვილტვი საკუთარი მიწის, მზისა და ჭერისკენ, რომელსაც აფხაზები დაპატრონებიან და...ჩემი შინდაბრუნების იმედი აუქციონზე გააქვთ გასაყიდად. ბინის საფასურად ხან ერთ თანხას მთავაზობენ... ხანაც მასზე ცოტათი მეტს...

...რა ღირს იმედი?!

სვეტლანა კვიკვინია,
ჟურნალისტი
აფხაზეთიდან.

ელიზბარ ნადარაია:

„ახალ სტატუსს არაფერი შეუცვლია“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ელიზბარ ნადარაია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად სპეციალობით: ინფორმაციის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი. „ეს არ იყო ჩემთვის ახალი გამოწვევა, ვინაიდან მე გახლდით აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2001 წლიდან. ახალ სტატუსს ჩემთვის არაფერი შეუცვლია – როგორც ვმუშაობდი აქამდე, ასევე ვაგრძელებ მუშაობას“,– ამბობს ბატონი ელიზბარ ნადარაია.

აკადემიკოსის სტატუსის მინიჭება განაპირობა ელიზბარ ნადარაიას მიერ განვლილმა სამეცნიერო გზამ და მათემატიკურ სტატისტიკაში მის მიერ მიღებულმა ფუნდამენტურმა შედეგებმა.

„მე ვარ უამრავი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ უცხოურ ჟურნალებში, ვარ მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციის მონაწილე. ჩემს მიერ მიღებული ფუნდამენტური შედეგები მათემატიკურ სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება და დღემდე ეძღვნება უამრავი სტატია, რასაც მოწმობს ჩემი ციტირების ინდექსი, რაც შეადგენს რამოდენიმე ათასს“,–აღნიშნა ბატონმა ელიზბარმა, რომელიც თავის სამომავლო გეგმებსაც გვაცნობს.

„ჩემი სამომავლო გეგმები არ იცვლება, ის ისევ უკავშირდება ჩემს უნივერსიტეტს, ჩემს საყვარელ საქმეს, სამეცნიერო მუშაობას მათემატიკურ სტატისტიკაში. კერძოდ, ვაგრძელებ ალბათური განაწილების ფუნქციონალური მახასიათებლების არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიის ზოგიერთი ამოცანის კვლევას.

ჩემი ცხოვრების მანძილზე არცერთი დღე და წუთი არ ყოფილა, რომ არ მეფიქრა მეცნიერებაზე, პრობლემაზე და მის გადაწყვეტაზე. ასეა დღესაც, დასახული მაქვს უამრავი, ჯერ კიდევ ამოუხსნელი პრობლემის გადაწყვეტა. ასევე, ვაგრძელებ ურთიერთობას სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან, ვაგრძელებ აკადემიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვკითხულობ ლექციებს ალბათობის თეორიაში და მათემატიკურ სტატისტიკაში“,–ამბობს ელიზბარ ნადარაია.

P.S.. გაზეთ „ხობის მოამბეს“ შემოქმედებითი ჯგუფი გულწრფელად ულოცავს ბატონ ელიზბარს ამ აღიარებას, რამეთუ მისი ფესვები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულიდან მოდის. მრავალჟამიერ მისი სიცოცხლე...

„ვინც ეს ქუდი დამახურაო...“

ავქსენტი ცაგარელის ჭალადიდური ქრონიკა

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, სად მწერალი, დრამატურგი, კომედიოგრაფი, მსახიობი და სად მისი რკინიგზელობაო. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი ზოგი რამ მისი ბიოგრაფიული ცხოვრებიდან.

პროფესორი სოლომონ ხუციშვილი თავის მონოგრაფიაში „ავქსენტი ცაგარელი“ (გამომცემლობა „ხელოვნება“ 1958 წელი) წერს:

ასიკო ცაგარელი დაბადებულა 1857 წლის 9 თებერვალს (ძვ. სტ.) დიღომში. ცხრა წლის ასაკამდე მას სკოლაში არ უვლია. დედ-მამისა და უფროსი ძმის–ალექსანდრეს ხელმძღვანელობით შეუთვისებია წერა-კითხვა. 1856 წლის იანვარში იგი მიუბარებიათ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ასიკომ სასულიერო სასწავლებელში 1875 წლამდე დაჰყო, მისი მასწავლებელი იყო იაკობ გოგებაშვილი. 1875 წელს ასიკომ დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი მეორე თანრიგით და იმავე წელს შევიდა სემინარიის პირველ კურსზე, მაგრამ სემინარიაში არსებულმა მძიმე, აუტანელმა პირობებმა იგი აიძულა მიეტოვებინა სემინარია და კურსდაუმთავრებელი გამობრძანდა სასწავლებლიდან.

ავქსენტის მოუსვენარ ბუნებას სულ სხვა არე ეჭირვებოდა სანავარდოდ და აკი შემთხვევამ აპოვნინა კიდეც. ეს იყო ქართული თეატრი, მან დავით ერისთავის მეშვეობით ფეხი შედგა ალ. როინაშვილის ფოტოგრაფიაში, რომელშიც ქართულ დასს რეპეტიციები ჰქონდა გამართული და ქართული თეატრის დიდ საქმეს საფუძველს უყრიდა. ამ დღიდან ასიკო თეატრს აღარ მოსცილებია (ი.გრიშაშვილი).

ჩვენამდე სულ მოღწეულია მისი ხუთი კომედია. მისი პირველი კომედია გახლდათ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, მეორე კი „ხანუმა“, რომელიც დაიწერა 1882 წელს და ის უშუალოდ არის დაკავშირებული ნატო გაბუნიას (ა. ცაგარელის მეუღლე) სახელთან და შემოქმედებით ნიჭთან.

ს. ხუციშვილის წიგნიდან. 1882 წელს ნატო გაბუნიამ (23 წლისამ და ასიკო ცაგარელმა 25 წლისამ იქორწინეს). ნატო გაბუნიამ ა. ცაგარელის თითქმის ყველა კომედიაში მთავარი როლი ითამაშა. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოუტანა „ხანუმაში“ მაჭანკალის როლმა.

(მათ სიყვარულს და საერთოდ, ა. ცაგარელის ცხოვრებას შესანიშნავი წიგნი უძღვნა მწერალმა როსტომ ჩხეიძემ „და სიყვარულის ასე მოთმენა“ (ჩვენი მწერლობა 2014).

მიუხედავად დიდი პოპულარობისა, ასიკო ცაგარელი დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. ზოგჯერ ლუკმა-პურიც სანატრელი ჰქონდა. საბოლოოდ თეატრს და მწერლობას დაანება თავი და კერძო სამუშაოს ძებნა დაიწყო.

„ნიკო ნიკოლაძის პროტექციით ასიკო ცაგარელი, ქალაქგარეთ მიდის სამსახუში და მერე რა სამსახურში! რკინიგზის სადგურის უფროსად. როცა კითხულობ ასიკო ცაგარელის კერძო წერილებს, თუ რა დამცირებით და ტანჯვა-წვალებით მიიღო ადგილი რკინიგზაზე, გული სევდით გევსება, რომ ეს უნიჭიერესი ადამიანი „იყო სოფელში და სოფელმა იგი ვერ იცნო“ (იოსებ გრიშაშვილი).

ასიკო ცაგარელი ინიშნება ჯერ თბილისის სადგურის უფროსის თანაშემწედ, 1891 წელს „წარჩინება“ მისცეს და გადაიყვანეს ქურდამირში სადგურის უფროსის თანამდებობაზე. 1895 წელს ა. ცაგარელს ნიშნავენ ახალსენაკის სადგურის უფროსად, ხოლო 1896 წელს–ჭალადიდის სადგურის უფროსად.

ი. გრიშაშვილის წერილიდან „1898 წელს ჭალადიდში ჩვენს მწერალს ციებამ ხელი დარია და მწოლიარე ავადმყოფი შეიქმნა“. „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ:

„ჩვენი ცნობილი დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი, რომელიც ჭალადიდის სადგურზე მსახურობს, ამჟამად თურმე მძიმე ავადმყოფია და ან თბილისში მოიყვანენ საექიმოდ ან ქუთაისში სამსონ თოფურიასთან“.

მიყრუებულ ადგილებში ხეტიალმა, უსიამოვნო სამსახურმა და ბევრმა სხვა მიზეზმა ასიკო დაანაღვლიანა და გააბოროტა, ამ ხანში ლოთობასაც შეეჩვია, ისე დღე არ გაივლიდა, რომ იგი დალეული არ ენახათ“.

დაავადებულმა სხეულმა ვერ აიტანა ამდენი უწესრიგო ცხოვრება და 1902 წელს 12 აგვისტოს მოულოდნელად გარდაიცვალა.

საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა მწერალმა სოფრომ მგალობლიშვილმა მის უკანასკნელ დღეებზე.

„მარიამობისთვის 12-ს შემატყობინეს, რომ ნატო შინ არ არის, ასიკო ავად არის და მიჰ ხედეო“.

მაშინ ის ავჭალის ქუჩის დასაწყისში იდგა, მე ძალიან ახლოს ვიდექი, მაშინვე გავქანდი. ასიკოს დამართოდა საშინელი ხურვება, ბოდავდა, ვიღაცას ელაპარეკებოდა. იამა ჩემი ნახვა, მაშინვე მოვიწვიეთ ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე, უიმედობა მითხრა. ნატო პროვინციაში იყო წასული. დეპეშა დავკარით გორსა და სურამში, რომ ჩამოსულიყო. მე ასიკო გულზე მივისვენე, ჭირის ოფლი ღვარად სდიოდა, ოხუნჯობას მაინც არ იშლიდა... ამოხვნეშით სთქვა „ოჰ ხანუმავ, სად ხარ!? (ასე უწოდებდა თავის მეუღლე ნატოს) მე ვანუგეშებდი. დილიდან მოკიდებული ორ საათამდე აქეთ-იქით აწყდებოდა. შუადღის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩემს მკლავზე განუტევა ასიკომ სული. საღამოს ნატოც მოვიდა. ასე უდროოდ, უაზროდ და უპატრონოდ დაიღუპა ასიკო ცაგარელი, ჯერ კიდევ 45 წლის, შუახნის ვაჟკაცი“.

არ იყო ავქსენტი ცაგარელის მოწოდება რკინიგზელობა... ბარბარე ცაგარელის თქმით, როცა მატარებელი ჩამოდგებოდა ბაქანზე, ასიკოს თავისი წითელკანტიანი ქუდის დახურვა ყოველთვის ავიწყდებოდა და თავისებურად შეიკურთხებოდა ხოლმე „ვინც ეს ქუდი დამახურაო...“

ბეჭან ნადარაია.

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

2023–2024 წლების სეზონისთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გრიპის სეზონურ ვაქცინაციას ექვემდებარება:

ა) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან:

–დიაბეტის მქონე პირები:

-–დიალიზზე მყოფი პირები

–ც ჰეპატიტის მქონე პირები(მხოლოდ მკურნალობაში მყოფნი)

–აივ-ინფექცია შიდსის მქონე პირები

–ორსულები

–60 და უფროსი ასაკის ხანდაზმულები

–ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების(სკოლები) პედაგოგები

–სკოლამდელი ასაკის დაწესებულებების(ბაგა- ბაღები) თანამშრომლები

–ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი ექიმები, ექთნები, ბებია ქალები, სტომატოლოგები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის პერსონალი.

ბ) ვეტერინარიის და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი

გ)თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები.

დ) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები

ე)პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი.

საქართველოში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო2023 წლის 16 ოქტომბერს.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გრიპის ვაქცინა შემოტანილიქნა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, საიდანაც ჯანდაცვის ცენტრიდან მოთხოვნის საფუძველზე ხდება ვაქცინების გაცემა მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ სასოფლო– საექიმო ამბულატორიებზე, ასევე ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაზე, შ.პ.ს. მკურნალზე, შ.პ.ს. პულსზე.

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის ზემოთხსენებული რისკ ჯგუფების წარმომადგენლებმა უნდა მიმართონ თავიანთ ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებს.

ვაქცინაცია არის უფასო.

სეზონური გრიპი, გრიპის A და B ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებაა, იგი აინფიცირებს სასუნთ სისტემას (ცხვირი, ყელი, ფილტვები).

გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მიმდინარეობით და შესაძლოა დასრულდეს ლეტალური გამოსავლითაც.

გრიპი ადამიანიდან ადამიანზე გადაეცემა ხველით, ცემინებით, ვირუსით დაბინძურებულ საგნებთან ან ზედაპირებთან შეხებით.

გრიპმა შესაძლებელია გამოიწვიოს სიცოცხლისათვის საშიში გართულებები, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებში.

გრიპის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან განსაკუთრებით:

–ჩვილები და ადრეული ასაკის ბავშვები 2 წლამდე.

–ორსულები და ხანდაზმულები 65 წლის ზემოთ.

–ქრონიკული დავადებების მქონე პირები.

გრიპის სეზონის დროს დიაგნოზი ისმება მხოლოდ კლინიკური სიმპტომების საფუძველზე.

გრიპის სამკურნალოდ არსებობს მრავალი ანტივირუსული პრეპარატები, რომელიც უნდა მივიღოთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

გრიპის სიმპტომების გამოვლენა ჩვეულებრივ იწყება ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 1–4 დღის შემდგომ, საშუალოდ 2 ორი დღის განმავლობაში, გრიპის მქონე ადამიანი გადამდებია დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე 1–2 დღით ადრე და გამოვლენიდან კიდევ 5–7 დღის განმავლობაში.

გართულების გარეშე მიმდინარეობისას 1–4 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება და მე–7–მე-10 დღიდან იწყება გამოჯანმრთელება.

გრიპის ვირუსიდან თავის დასაცავად აუცილებელია ყოველწლიური ვაქცინაცია, წინა წელს დაავადების გადატანისა და ვაქცინაციის სტატუსის მიუხედავად. ვაქცინაცია 6 თვეს გადაცილებულ ყველა ადამიანს შეიძლება ჩაუტარდეს.

იმუნიტეტის ჩამოყალიბებას 2–3 კვირა სჭირდება აცრის დღიდან, ამიტომ აცრა უნდა ჩაიტაროთ გრიპის სეზონის დაწყებამდე, საუკეთესო დროა ოქტომბერი და ნოემბერი.

– გრიპისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაა.

– განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ორსულებმა და ქრონიკულო დაავადების მქონე პირებმა–მოერიდეთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, გრიპის სიპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ თქვენი ოჯახის ექიმს.

–როგორც ჯანმრთელებმა, ასევე გრიპით დაავადებულებმა შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა, ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და დაალაგეთ სველი წესით.

–დაავადებულთა თვითიზოლაცია: თუ გაქვთ მაღალი ტემპერეტურა, თავის, კუნთების, სახსრების, და ყელის ტკივილი, დარჩით სახლში, მოერიდეტ ჯანმრთელ ადამიანებთან კონტაქტს:

–ჩაიტარეთ სიმპტომური მკურნალობა მიიღეთ სიცხის დამწევი საშუალებები, გამოვლენილი სიპტომების შესაბამისი მედიკამენტები, რა თქმა უნდა, ექიმის დანიშნულებით.

–იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, ცხვირ ტუჩის ციანოზი და ა.შ. სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში (მისამართი:ქ, ხობი, კოსტავას ქუჩა №3) ან დარეკეთ ტელეფონებზე: 595956148, 577629830, 577795501.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე– ექიმი პროფილაქტიკოსი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტში სტარტი აიღო საჯარო სკოლებს შორის სასკოლო სპორტულმა ოლიმპიადამ.

15 ოქტომბერს ჩატარდა შეჯიბრება ფრენბურთში, როგორც გოგონებში ისე ჭაბუკებში.

გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავეს და რეგიონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ და რეგიონალურ სასკოლო ოლიმპიადაზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსებას დაიცავენ–ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

18 ოქტომბერს ჩატარდა გეზრბენი (კროსი).

გამარჯვება მოიპოვეს და რეგიონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გოგონა შორის ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და ჭაბუკთა შორის პატარა ფოთის საჯარო სკოლის გუნდმა

შეჯიბრება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის“ ორგანიზებით ტარდება.

ხობის კულტურის სასახლის მცირე დარბაზში, კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჩაგვრის თემაზე ტრენინგი გაიმართა, რომელსაც მოწვეული სპეციალისტი თამარ ჩიქავა უძღვებოდა.

ტრენინგს ქალაქ ხობის №1 და №2 საჯარო სკოლების და კერძო სკოლა „არეას“ IX-XII კლასების მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ტრენინგი ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობას“ და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა.

სულთათანა

ლამაზი ბიჭი მოუკვდა ქალაქს... ილია (იკა) წურწუმია

აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: „სიკვდილს არაფერი ეშველება შეგუების გარდა“-ო, მაგრამ შეგუებაა და შეგუებაც, როგორ გინდა მშობელს და უახლოეს ადამიანს ამაზე ესაუბრო, მითუფრო ახალგაზრდის გარდაცვალების ჟამს...

მაგარი ბიჭი მოუკვდა ხობს, კეთილი, განათლებული, სინდისიერი და რაც მთავარია, მოყვასის სიყვარულით მოპირთავებული ადამიანი. ყველა სიკეთესთან ერთად უსიმპატიურესი, თავისი ეპოქის კულტურული სახის განმასახიერებელი, თავმდაბლობის ესთეტიკურ კატეგორიად წარმომჩენი ახალგაზრდა. ნაკლებად ვიცი მისი, როგორც მოაზროვნე და მაფიქრალი პიროვნების ირაციონალური ფენომენის გაცხადების რაობა, მაგრამ ვიცი, თუ როგორი სიყვარული შეეძლო, გულიდან ამომზევებული და გადამდები. ყველა უყვარდა, ყველას პატიობდა, ყველას ემზევებოდა... ეს მისი შინაგანი არისტოკრატული სიმაღლის გამოძახილი გახლდათ, მხოლოდ მისეული და მისი პორტრეტის ასერიგად შემამკობელი.

ასაკით ჩემზე უმცროსი გახლდათ, მახსოვს მისი და მისი უფროსი ძმის ლაშას სკოლაში ფეხადგმის წლები, ჩემი რუსულის მასწავლებლის, ძვირფასი ქალბატონის ზინა წულაიას შვილიშვილები გახლდნენ, ასევე ჩემი უსაყვარლესი პედაგოგის თამარ თოდუას უახლოესი ნათესავები და ჩემი ბიძაშვილის ხვიჩა გვასალიას თანამერხელები. რათქმაუნდა ასეთმა სიახლოვემაც განაპირობა მათი იმდროიდან ასერიგი მოთვალმზერება, მაგრამ იკა წურწუმიას არშემჩნევა შეუძლებელი გახლდათ, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, არ შეიძლებოდა მასთან მეგობრობა და სიახლოვე არ გნდომოდა. წიგნიერი და მოაზროვნე ახალგაზრდა მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო, ამასთან გოგონებში უდიდესი მოწონებითა და პატივისცემით სარგებლობდა. ლეგენდები დადიოდა მის რომანტიკულ გატაცებებზე... ყველაფერი უხდებოდა და ყველაფერი ამაღლებდა, რადგან ზომიერებასა და ღირსების ფარგლებს არასდროს გადადიოდა...

ცალკე დიდი ფურცელია მისი სტუდენტობა და არეულ, არეულ, არევ... არაცრაობით აფორიაქებულ საქართველოში მისი, როგორც პატრიოტი ახალგაზრდის პოზიცია და შესაბამისად ღვაწება, ის ყოველთვის ვაჟკაცურად და კეთილად იქცეოდა, არასდროს მოუხიბლავს არც თანამდებობას მშობლებისას, არც საკუთარ წარმატებულ მდგომარეობას და როგორც ოთარ ჭილაძე ბრძანებს: „არც ჰალსტუხის ხიბლსა და სიმძიმეს მოუხრია ბეჭებში...“

იმ არეულობისა და დაძაბულობის წლებში ყველაზე მისანდო და კეთილმხმობელი ბიჭი გახლდათ. არასდროს უღალატნია მისი ინტელიგენტური, განათლებული ოჯახის ტრადიციისთვის!

რაც ყველაზე მეტად მხიბლავდა ილია წურწუმიას პიროვნებაში, გახლდათ ისიც, რომ არ სჩვეოდა კომპეტენციის ძალაუფლებით მანიპულირება, პათეტიკური პატრიოტიზმი, ზერელე დამოკიდებულება ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ, ამიტომაც იყო თვალდასარჩენი მოქალაქე, გამორჩეული ქალაქელი და რაც მთავარია, ლამაზი ბიჭი, რომელსაც არ დაჰყვა ბედი, არ მოენაგრა ის სიკეთე, რომელიც სვეს გაულამაზებდა და ისეთ ყოფიერ სამშვენისს მოუტანდა, რომელსაც ნამდვილად იმსახურებდა.

ჩვენ ხომ დაწყევლილი თაობის შვილები ვართ, ომსა და უბედურებაში რომ დავხარჯეთ ულამაზესი წლები, სიკვდილსა და გადაგვარების სილიზღეს შევალიეთ ძალ-ღონე, ახალგაზრდული აღმაფრენები... შენთან ერთად ჩემს ახალგაზრდობის წლებსაც დავსტირი, მეგობარო...

მენანები, ჩემო იკა, საჯიშე ქართველო, მაგარო და მართალო ბიჭო, შუახნისობაც და მხცოვანებაც სხვანაირად მოგიხდებოდა, მითუფრო ცოლშვილითა და ნაგრამით დამშვენებულს, მაგრამ ამაშიც გიმუხთლა ბედმა, არადა... ეჰ, იკა, იკა...

ქედს ვიხრი შენი სვეგამწარებული მშობლების წინაშე, მწუხარების გაზიარებით ვუსამძიმრებ ბატონ ედიშერს და ქალბატონ ნარგიზას, შენს ერთადერთ ძმა–ლაშას, მის ოჯახს, და ყველას, ვის გულისმიერ თუ სისხლისმიერ ნაწილადაც თვლიდი თავს... მასთან შენს სამეგობროს, უბანს და ხობს, რომელსაც დააკლდება სიყვარულისა და ღირსების მეგულსიტყვე ლამაზი ბიჭი–ილია (იკა) წურწუმია...

ნათელი დაგადგეს, კარგო ბიჭო, ხიბლიანო კოლხო, შენ იქაც გამორჩეულად კარგი იქნები!..

სიყვარულითა და დანანებით

ლაშა გვასალია.

ჩვენი მეგობრების– ნარგიზა ტუღუშისა და ედიშერ წურწუმიას ოჯახში გლოვის ზარია... მათმა უმცროსმა ვაჟმა 46 წელიწადი იკმარა ამქვეყნიური სიამოვნებისთვის, თუმცა წუთისოფლის ორომტრიალს ბევრად ნაკლები სიამოვნება გამოსტაცა, ვიდრე მის განსწავლულ და სიყვარულით სავსე ოჯახს ეკადრებოდა, მათ შორის უპირველესი წიგნიერება იყო... კომპიუტერის ეპოქაშიც მას ეთაყვანებოდა...

მაძიებელმა, მშფოთვარემ და სიმართლისათვის მებრძოლმა საზღაურად მრავალგზის იწვნია უსამართლობა... ეს იყო ჩვენი ბედკრული ქვეყნის იმდროინდელი საზომ- საწონი, თუმც არასოდეს უნანია... მაგრამ ბედს შეგუებულიც არასოდეს ყოფილა...

ეს მაღალი, რომ იტყვიან „აწოწილი“ ბიჭი ისეთი სალმით ჩაგივლიდა, გულში სიყვარულად გეღვრებოდა, მით უფრო, ფიზიკურადაც ერთი–ერთში გავდა მამამისს– ჩვენს კოლეგასა და მეგობარს.....

ქართული პოეზიის მოტრფიალემ უამრავი ლექსი ზეპირად იცოდა... მასთან სტუმრობა და მოლხენა ცალკე სიამოვნება იყო (მით უფრო, თუ მამაც თან ახლდა)...

ბედის უკუღმართობამ სიყვარულშიც უმუხთლა.. ამ გრძნობას 10 წელი უერთგულა და... მასთან პეტერბურგში ჩასულს, ექიმების დასკვნით, სიყვარულით ანთებულმა გულმა უღალატა. ჩაქრა კიდევ ერთი სიცოცხლე– თბილი, კეთილი ყველას მოყვარული და დამხმარე, თავად კი გაუხარელი...

ძნელია ნუგეში უთხრა კეთილშობილ და ნაღვაწ დედას, ქალბატონ ნარგიზას, მრავალი თაობის აღმზრდელსა და მომფერებელს.

ვუსამძიმრებთ ჩვენს კოლეგას, ბატონ ედიშერს, ცალუღელად დარჩენილ ძმას, რძალს, ძმისშვილებს, ახლობლებს...

ნათელი დაუმკვიდროს უფალმა კეთილშობილ ახალგაზრდას..

რედაქციელების სახელით

მერი ლაგვილავა.

ლევან ბუკია

ლევან, 16 ოქტომბერი, შენი დაბადების დღეა... გილოცავ!.. მენანება და მტკივა შენი ადრე შეწყვეტილი სიცოცხლე, უსაშველოდ მენატრები, მშობლებისა და ერთადერთი დის საფიცარო. შენ მხოლოდ 23 წელი იკმარე ამქვეყნიური ტკბობისთვის, წახვედი და უფლის რჩეული გახდი...

47 წლისა გახდი. გეფერები, ვდგევარ შენს საფლავთან და შენს მომღიმარ სახეს მივჩერებივარ, წარმომიდგენია, როგორი თბილი, მოაზროვნე, ჭკვიანი, შევერცხლილი თმებით, აქტიური, შენი სალოცავი და სახატე ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი იქნებოდი...

საფლავზე შენი ახლობლების სიმრავლემ, რატომღაც სულმნათი ნოდარ დუმბაძე გამახსენა: „რადგან არ იცით როდის მოვა სიკვდილი, დატოვეთ თქვენი წილი სიყვარული ამ ქვეყანაზე. დატოვეთ დღესვე, რადგან ხვალ შეიძლება გვიანი იყოს. დატოვეთ თქვენი სიყვარული იქ, სადაც მიდიხართ. დატოვეთ თქვენი სიყვარული, რადგან თქვენ შემდეგ ვიღაც მოვა და თქვენს სიყვარულზე თავის გულს ჩამოჰკიდებს...“ შენმა დატოვებულმა სითბომ და სიყვარულმა დღემდე მოიტანა ხსოვნა და მჯერა, კვლავაც გააგრძელებს შენს სახელთან ცხოვრებას.

უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს. მეამაყები. გაუხუნარია შენი დიდებულება...

მერი ლაგვილავა.

ნიკა აბესაძე



ტკივილი, რომელსაც არც სახელი აქვს, არც საწყისი და არც დასასრული, ტკივილი, რომელიც მიწიდან იწყება და ზეცას უერთდება...

ორმოცი დღეც მიილია, რაც თავის სამუდამო ადგილსამყოფელში, მარადიულობაში გადასახლდა ჩვენი მეგობრის მანანა თათარიშვილის და სოსო ჭანტურიას საფიცარი შვილიშვილის ნიკა აბესაძის სული, უფალმა გულში რომ ჩაიკრა, მშობლებს და ახლობლებს გული და ღიმილი წარსტაცა. განარიდა მის მეგობრებს, სანათესაოს.

დიდი გლოვაა ნიკას ოჯახში, ვინ იფიქრებდა ასე ვერაგულად ჩაუსაფრდებოდა 13 წლის მოზარდს სიკვდილი, ვინ იცის რამდენი ნატვრა და ოცნება დარჩა აუხდენელი... ძნელია ნუგეში, რა ხანმოკლე ყოფილა შენი სავალი სიცოცხლე.

განისვენე მშვიდად კარგო ბიჭო!

სიტყვა უძლურია... ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ სვეგამწარებულ მშობლებს და სანათესაოს.

ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომლები.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მანანა თათარიშვილის და სოსო ჭანტურიას ოჯახს შვილიშვილის

ნიკა აბესაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

24 ოქტომბერი, ხობის ცენტრალური პარკი

„ცუცა ბებო“-100

იუბილარი

აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეში დაიბადა და გაიზარდა ქალბატონი ლულა (ცუცა) ჯინჯოლია. აფხაზი ქალიშვილი მხოლოდ მშობლიურ, აფხაზურ ენას ფლობდა (მას ქართული მეგრული თუ რუსული ენა არ სცოდნია). მას შემდეგ, რაც ქართველ ვაჟკაცზე, პროფილე ჯიქიაზე, დაქორწინდა, ქართული და მეგრული ენებიც შეითვისა. ტკბილად, ბედნიერად, სიყვარულით ცხოვრობდნენ ისინი. ხუთი არაჩვეულებრივი შვილის მშობლები გახდნენ.

იმდროს არავის გაკვირვებია და არც დაუწუწუნია, რატომ შეირთო ქართველმა აფხაზი ქალიშვილიო... შემდეგ მათი ორი ქალიშვილიც აფხაზი ბიჭების მეუღლეები გახდნენ...

სიყვარულით და სიხარულით გადიოდა წლები. მრავლდებოდნენ ქართულ–აფხაზური, აფხაზურ–ქართული ოჯახები, რომლებიც მუდამ სითბოთი და სიყვარულით იყო გაჯერებული.

აფხაზები, ქართველები, ბერძნები, ებრაელები თუ ესტონელები ამ მხარეში მეგობრულად ცხოვრობდნენ. ამ ერებს შორის მტრობა და შუღლი არასოდეს მუსირებდა. იყო სიყვარული, პატივისცემა. ქართულ-აფხაზურ ოჯახებს ძუძუმტეობაც აძლიერებდა... რა ლამაზად გამოხატა ამ ადამიანების ურთიერთობა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ თავის ლექსში „აფხაზური კანტატა...“

„ქორი წიწილას აფხაზეთში
თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია
სამეგრელოში!..“

მაგრამ მავანთა და მავანთა არასასურველი ჩარევით, მათი სიამტკბილობა მტრობით და სიძულვილით შეიცვალა. ამ ერებს შორის შუღლი გაჩნდა და... ქართველები დღეს აფხაზეთიდან აყრილები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში, წლებია დევნილის სტატუსით ცხოვრობენ და განსაკუთრებულ თანადგომას იჩენენ ერთურთის მიმართ. მაგრამ იმედი და რწმენა აფხაზეთში დაბრუნებისა და

მტრადმოკიდებულ, ერთან შერიგებისა არასდროს დაუკარგავთ.

ეს მოკლე ექსკურსი ქალბატონ „ცუცა ბებოს“ ლამაზ დღეს–დაბადებიდან 100 წლის იუბილეს მივუძღვენი.

11 ოქტომბერს ქალაქ ხობში ქალბატონ ლულას შვილებმა, შვილიშვილებმა, მეზობლებმა, აფხაზეთიდან ჩამოსულ შვილთან და შვილიშვილებთან, ახლობლებთან ერთად დიდი ზეიმი გამართეს–100 წლის იუბილე ლულა ჯინჯოლიაჯიქიას ოჯახში. სუფრას არც ხობელი სტუმრები აკლდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონმა ლევან ქავთარაძე საჩუქრებით მოინახულა და მიულოცა ეს დღე მხცოვან ქალბატონს და მის საყვარელ პაციენტს–100 წლის ქალბატონ ლულას.

ლულა 5 შვილის დედა, 15 შვილიშვილის, 23 შვილთაშვილის და 4 ბადიშის ბებია გახლავთ (სამწუხაროა, რომ 2 შვილი ქალ-ვაჟი წლების უკან თბილისსა და აფხაზეთში დაკარგა. აფხაზეთში დაღუპული შვილი მხოლოდ ვიდეოთი იხილა და დაიტირა).

...ბავშვობაში გამიგია–აფხაზების უმრავლესობა საუკუნეს აღწევსო, ამის დასტურია ქალბატონ ლულას 100 წლის იუბილე.

ქალბატონო ლულა! გილოცავთ დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. დღეგრძელი ქალბატონის წლების თანაზიარი გამხდარიყოს თქვენი მონაგარი–შთამომავლები და ყველა ის ადამიანი, რომლებმაც თქვენი სიხარული გაიზიარეს და ეს დღე მოგილოცეს.

ნანი კილასონია.

რედაქტორი–ბექან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, კობა კობახიძე, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.